

სასაღხე გაზეთი

სუკათეპიანი დამატება

გაზეთის № 26.

კვირა, 6 ივნისი 1910 წ.

დამატების № 4



იმიკეთის უკანასკნელი დედოფალი მარია მთულე სოლომონ მთრისა.

ეს სურათი ფერადის წამლებით დახატული ვნახეთ ქართლში სოფ. თამარაშენში თავ. გიორგი აბესალომისძე მარაბლის ოჯახში სურათს ზედ არაფერი აწერია, მხოლოდ გადმოცემა დარჩენილი რომ ის პეტერზურგიდან განსვენებულ გრიგოლ ლევ. დადიანს გამოუგზავნია გიორგი მარაბლის დიდების ელისაბედ წერეთლის ასულის მარაბლისათვის

მ ს ხ მ მ რ კ ლ ი

დრამა 8 მოქმედებად, სოფლის ცხოვრებიდან.

(დასახრული*)

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

ნატო. მე რომ თქმა შემეძლოს, განა იმას ვეტყვოდი?... ფული მომეცი, მიუტანე, უთხარი გიგუამ გამოგიგზავნა მეთქი... სახარჯოდ მოგიტანა მეთქი... აბა ხომ იცი ცოტა ჰკვავზე სრულად არ არის საცოდავი დედაკაცი... გაიქნია ხელები: „არაო, არაო... არ მინდაო... სისხლის სუნი უდისო... რაღა გაეწყობოდა... წამოვედი, აჰა, ეს შენი ფული... (გიგუა არ ანთქვას).



როპერტ უშმანი.

გერმანელი კომპოზიტორი, საუკეთესო წარმომადგენელი რომანტიული მიმართულების მუსიკაში: მის შემოქმედებას ახასიათებს ძლიერი ლირიზმი და მუსიკალური არქიტექტონიკის თავისუფლება ტრადიციულ ფორმებისაგან. დაიბადა 8 ივნისს (26 მაისს) 1810 წელს. გერმანიამ და მთელმა კულტურულსა და კაცობრიობამ ამ ათი დღის წინად ილღესასწაულა მისი დაბადების ასი წლის თავი.

გიგ. სხვა ვინმე იყო იქა?... რათ უთხარი რომ გიგუამ გამოგიგზავნაო?... ვერ ეტყოდი რომ მე მოგიტანეო?..

ნატო. მე?... შენ ამბობ მაგას?... შენ?..

გიგო. მერე რა არი?...

ნატო. თავათ შენ არ იცი რაც არის?..

გიგო. ხმა გაკმინდე! კიდევ დაიწყე?..

ნატო. გიგო!.. აბა ხომ მხედამ, რას დავემგზავსე... აღარც ცოლობა შემეძლიან, აღარც არაფერი... ჩვენი ერთად ყოფნა შენთვისაც და ჩემთვისაც მარტო ტანჯვაა... გამიშვი, გეხვეწები... იმ დღეს ქალბატონიანთ შემოვთვალათ ისევ დავიდექიო... ის გოგო გლენე პატარა ქალბატონს გაჰყვება, მე კნენისთან დავრჩები... გამიშვი მოგშორდები... აბა ხომ ხედავ ვერა ვთავსდებით.. ჯამაგირს მაინც ავიღებ... შენ მოიხმარე, მე იბა არა მინდარა...

გიგო. ხმა გაკმინდე მეთქი.. ნუ გამაბრაზებ... ისეც ბევრს გითმენ... სად ჯანაბას უნდა წაეხირო... რა, გინდა კიდევ ვინმე აიჩინო... შენ ხომ ერთს არა კმაყოფილდები... შენ აშარო, გინდა კიდევ კახობა დაიწყო?... არა?... არ სად გავიშვებ, სულსაც ამოგაძრობ, შენ უნამუსო... გაიგონა?..

არსად გავიშვებ... არ გეყო რაც ამდენი ხანი მატყურობდა... შენ ლაფს მასხამდი, სხვათა ჰყვარობდი... ვინ იცის, ქვეყანა დამკინოდა, მასხარად მივდებდა... ო-ოხ, რომ მოვიგონებ მაგას... აი, აი ამ ხელებით, მზათა ვარ, წავიჭირო ყელში და დაგადრჩო!.. შენამუს დაკარგულ... იჯახი წამიბილწე, და შენვე დიდი გულითა ბძანდები... ტყუილად კი არ გამოესარჩლე იმ... იმ...

ნატო. გაჩუმდი, გაჩუმდი, ნუ, ნუ... იმის სახელს... არ შეგიძლიან არა... შენ ღირსი არა ხარ იმის სახელი აღსენო...

გიგ. ჰაი, შენ როსკობა!... არც კი გრცხვენინან... შენი საყვარლის ღირსიც არა ვარ?... შენ უნამუსო, შენ ძუძუძალლო (შემოჰკვავს) დაგადრჩობ, მოგკლამ, არ დაგარჩენ...

ნატო. მაშ გაიგე, გაიგე... შენ მტარავლო... არ მიყვარხარ... შეზიზღები... მეჯავრები... და მეჯავრებოდი ყოველთვის... ძალით წამომიყვანე, მამაჩემი დააშინე... მეზიზღები, გაიგონე... ის მიყვარდა და კიდევაც მიყვარს, შენ კი მეზიზღები... ის გმირი, ვაჟკაცი იყო... წმინდანი... შენ, შენ... მშიშარი, ლაჩარი, სისხლში მოსვრილი... ამხანაგის დამლუპველი...

გიგო. (ამოიძრობს დანას) გაჩუმდი, გაკმინდე ხმა... თორემ...

ნატო. დამკარი, დამკარი... მძინარე კაცზე და დედაკაცზე კი გაიმარჯვებ... უსენიდისო (ფუფს გადაუკვდებს) აჰა, ეს სისხლიანი ფულიც აიღე... ოხ, ვანო, ვანოჯან, რა კაცზე გაგცვალე!..

გიგო. მაშ მოკვდი შენ უნამუსო (დაჭკრამს გულში დანას, ნატო წახარბაცდება. გულზე ხელს იტაცებს, გამოფარდება დაკეფნიდან და საქას დუქნისკენ მიდბის, გიგუა გამოეკვიდება).

ნატო. (ყვირის) ვაიმე!.. მიშველეთ, ხალხნო... მომკლა, მიშველეთ. (გიგუა წამოეწევა და შეორეთ დაჭკრამს ზურგში დანას. ნატო წაიქცევა, დუქნიდან გამოცვივანს მამასხალისი, მისა, ჩახაშვილი, გაბუა, სვიმონა, საქა და შაქრო).

ჩოხაშ. (მოუდგრებს თაფნ გიგას) შესდექი, თორემ აქვე გგაციებ... (მისა მივარდება უკანდან გიგუას და სტაცებს ხელს და დანას წაართმევს. სვიმონა, და საქა, მიეშველებიან ნატოს, რომელიც კვნისის. მამასხალისი და ჩახაშვილი მისცვივდებიან გიგას).

მამ. (გიგა!) რა ჰქენი, შენ უღმერთო...

საქო. შაქრო! არიქა წყალი გამოიტანე...

სვიმ. არა, არა, წყალი როგორ შეიძლება... მოიტაცოტა ღვინო ჩავაყლაპოთ... ან არა და გაიქე, შაქრო, ემანდ ჩვენსა დედაკაცებს დაუძახე... თვალებიანთ მაკაც მანდ იქნება, იმან იცის კრილობის წამალი (შაქრო გავა) ე სისხლიც მაინც შეუწყვიტოთ როგორმე...

ვაბო. (გიგას) რა ჰქენი, რა ჩაიღინე, შენ ურჯულოვ?... ღმერთი აღარა გწამდა? (თან და თან გრავდება ხალხი. შემომოდინან დედაკაცები, იცემენ მუხლებში, მივარდებაან ნატოს. ისმის: „უი, ტა, ტა, ტა, შენ უბედურო!“ კაცების ხმა: „რა აყო, რა მოხდა? მისა, გაბუა და სვიმონა ხალხში გვერევიან).

ჩოხაშ. (საქას) მოიტა, საქო, თოკი გეკნება... ჩქარა!..

საქო. ეხლავე, ამ საათში... დააღრჩეთ, დააღრჩეთ ეგ სულძალლი... (შევარდება დუქანში და მოუტანს თაქს. მამასხალისი და ჩახაშვილი შეუკრამენ გიგას ხელებს.

სვიმ. რაღას უყურებთ? ავწიოთ ე დედაკაცი, სახლში შევიტანოთ... ცოდო!

*) იხ. სურათებიანი დამატება № 3.

ნატო. (უცბად წამოაიწვეს) მოიცათ... ვიღრჩობი... დაი-
ცადე... ვიტყვი... ხალხნო!.. მაგან (უჩვენებს გიგასზე) მა-
გან... მოჰკლა სტრაჟნიკი... იმ საღამოს თოფი შინ მოიტა-
ნა, მე ჩამაბარა... არ მითხრა ვისი იყო... დილით ყაზახები
რო მოვიდნენ... ვანუა... ო-ობ ვიღრჩობი... ვანუა მოვარ-
და ჩვენსა... ეგ შინ არ იყო... „იარალი ხომ არა გაქვთ-
რაო, ყაზახები მოვიდნენო... მე... მე თოფისა უთხარი...
მომეცი მე შევინახამო... ვაიმე, გული, გული!.. მე არ მინ-
დოდა, მაგრამ წაილო... მაგან დალუბა ვანუა... ოხ, მიშვე-
ლეთ... დედიჯან ვკვდები... მაშვ... (დედაკაცები მიეშველე-
ბიან).

სვიმ. ასწით, ასწით...
ოთახში შევიტანოთ... (დედა-
კაცები ნატოს სახლში წაიღებენ.
შემოვლენ ნაცვალნი და ორა
მამასახლისის ჩაფარნი)

ჩოხაშ. (გიგას) ჰო, ეხ-
ლა კი მესმის რაში ყოფილა
საქმე...

მიხა. (გამოვარდება და მის-
წვდება გიგასს, ხელში დანა
უჭირავს) შე ძაღლო, ძაღლო!..
აქვე უნდა ჩემის ხელით
ჩაგაძაღლო... (ჩაისაშვილი და
გაბუა მივარდება მისას და
დაიჭკრენ. მოესგება რამდენიმე
კაცი. მიხა უკან მიხვავთ. მიხა
შინგ იწვეს) გამიშვით... გამი-
შვით... აქვე უნდა დაგვლა...
მაგან დალუბა ის ზიკი... მაგან
მოგვაყენა ამდენი უბედუ-
რობა... ხალხნო!.. ჩაძაღ-
ლეთ, დაწვით, თონეში დაწ-
ვით... სიკვდილი მაგ ცოფიანს
მგელს ..

გაბუა. დაილა მიხა, დაილა
შვილო... (გიგასს) ხომ გაი-
გე რაც შენმა დედაკაცმა
სთქვა?.. შენ რაღას იტყვი?..

გიგუა. (ცოტა სინუშის შემ-
დგბ) ეგ ყოველისფერი...
მართალია... (ხალხი კრებაშად
შეინძრება. იწვევენ იმისკენ ჩა-
საშვილი, ჩაფრები თოფებს გადმოიკვებენ და გიგასს იცავენ).

ჩოხაშ. იქით... თორემ გესვრათ, იქით, (ხალხი შეს-
დგება. მიხა შინგ იწვეს იჭკრენ).

მიხა. გამიშვით... ხალხო! რას უყურებთ?... აქ, აი ამ
ალაგას მაგან დალუბა ჩვენი ვანუა და აქვე უნდა ჩავაქვაოთ...

ჩოხაშ. უკან!.. ფეხი არავინ გადმოსდგათ... ჩვენ თი-
თონ მოუვლით ამას... (მამასახლისს) წავიყვანოთ, რაღას
უყურებთ?..

მიხა. რათა, რათ უნდა წაიყვანოთ... იმ საღრჩობე-
ლაზე, რომელზედაც მაგან საწყალი ჩვენი ვანუა აიყვანა
ეგეც უნდა აიყვანოთ... საღრჩობელასაც კი წაპილწამს ეგა...
მოგვეცათ ჩვენ, ჩვენ გაუსწორდებით მაგას... ჰოიმე ერთი
ჩამივდეთ კა ეგ ხელში და მე ვიცო რასაც უზამ მაგას.

გიგო. (ჩაისაშვილს) მოიცა პატარა ხანს... მე ხომ არ-
სად წავალ... (მისს) მართალი ხარ მიხა... საღრჩობელის

ღისრიც კი არა ვარ... მოდით, მომკალით... მოდით...
ჩემი გული, დამკარი დანა... მაგრამ ნუ... წაპილწამ...
მაგ დანაზე უმანკო სისხლია, და ნუ შეურევ მაგას ჩემს
სისხლში...

საქო. (წამოაიწვეს წინ) რას ალაპარაკებთ მაგ ნადირს?...
უფლის მადლმა ვართავტაც მაგის მოკლულია აი... არა,
მე რო შპიონს და ხულიგანს მეძახოდი... შენ, შენ რაღა
ხარ!.. ღვთის მადლმა იუდა შენთან წმინდანია აი!.. ვა, თე-
ლეტის მადლმა, აი აბა ნავთი რა ძვირია ახლა და საქოს
მზემ, ხუთ გირვანქას არ დავიშურებდი, დავასხამდი და სპიჩ-
კას წავიკიდებდი...

მიხა. (გიგასს) შენ, შენ და
სულ შენისთანებმა დალუ-
პეთ ჩვენი წმინდა საქმე, შე-
ნისთანებმა დალუპეს ჩვენი
ერთობა...

ჩოხაშ. კარგით, კარგით...
აბა წავიყვანოთ...

გიგუა. (ჩაისაშვილს) მოიცა,
მოიცა ცოტა ხალხო! მე
გათავებული კაცი ვარ...
მოვრჩი... სიკვდილი ჩემთვის
ჯილდოა... იმ დღიდან რაც
მე ვიტანჯება... ამ ტანჯვას
რა სიკვდილი შეედრება...
გამიგონეთ... წინათ თქვენ
იცით, თქვენთვის ვიბრძოდი,
თქვენც მომდევდით... ბევრ-
ჯელ თავი დამიდვია თქვენ-
თვის... იყო დრო მზის უშუქი
გვედგა... ერთობა გრიალებდა
მაგრამ მალე დაგვიზნელდა...
მეც ბნელაში გზა ამერია...
ფეხი წამისხლტა და გადავარდი-
აი ამ გზაზე... ძლიერ გასი-
პულია ეს გზა, და თუ კაცს
აქ ფეხი აუტყურდა... მორჩა,
ველარ შედგება... და აი მეც
ბოლო მომელო... იბრძო-
ლეთ, მაგრამ ამ გზას ნურა-
ვინ დაადგება... მე მივ-
დივარ, და ღირსი არა ვარ
ის ვახსენო, მაგრამ მაინც


თქვენთვის ვიტყვი: ვანუას წმინდა სული იყოს თქვენი
შემწე...

მიხა. წაიყვანეთ, მოგვაშორეთ, თორემ რჯულის მად-
ლმა ველარ მოვიომენ... (მიხვავთ გიგუა. მამასახლისი, ჩაისა-
შვილი, ნაცვალნი და ჩაფრები განხვებებიან თან).

გაბ. დეე, მიხა შევილო! მაგის ცოდო ისეთია, რომ
კაცის სამართალი ცოტაა მაგისთვის... მაგას მარტო მალა-
ლი ღმერთი გაუსწორდება... ღმერთო დაილოცა შენი მად-
ლი... იმ საცოდავ ვანუას სახელი ხომ საქვეყნოდ განათ-
ლდა, და შენც აცხოვრე მისი უმანკო და წმინდა სული!..

ი. გედევანიშვილი.

ფ ა რ დ ა .



მ ო მ ნ ა ნ ი ე ბ ე ლ ი მ ა გ დ ა ლ ე ნ ა .

სურათი ტიციანო ვენელოსა
იტალიელი მხატვარი ტიციანო ვერედ-წოდებული „ვენეციის სკოლის“
უდიდესი წარმომადგენელია. ის დაიბადა 1477 წ., იცხოვრა ოთხმოც-
და ცხრამეტი წელი და გარდაიცვალა ვენეციაში შავი ჭირით 1576
წ. მის მხატრობაში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ფერადების
პოეზია (კოლო რიტე), რომლის წყალობით ტიციანოს დიდება ვერ
ჩაჩრდილა საუკუნეთა მსველობამ.

მე ვერ შემაკრთობს!

ღ ი ლ ა

—:—

* * *

მე ვერ შემაკრთობს: უკმენტა რისხვა,
ჩემზე მოსული შესამუსრავად;
ვერცა ცხოვრების ღია უფსკრული
გამზადებული ჩემს შთასანთქავად!..

ტურფა დილაა... ნაზი ბულბული,
ბაღში ვარდს უმღერს სააზიყო ხმებს;
სურნელი ია—ნამით ბანილი,
მის ხმაზედ აფრქვევს მღულარე ცრემლებს.

*

* * *

მე ვერ შემაკრთობს ვერც გრგვინვა ცისა
მეხად ნასროლი ცეცხლის ისარი,—
ვერც მაღალს მთიდამ ავ სატანათა
სიკვდილის მკნები სიცილ-ხარხარი...

ქრელი პეპელა, ველის ნორჩ ყვავილს,
ტურფად გაშლილსა, თავს დაფარფატებს;
კამკამა ნამი ფოთოლს დაჰხარის,
მზის სხივი წალკოტს თავს დასციმციმებს.

*

* * *

გზასა უვალსა, ეკლით მოფენილს,
ფეხ ქვეშა ვსთელავ სულ წინ ვისწრაფი;
და არც იღლება, ნაბიჯს არ უკლებს,
ჩემი სიცოცხლის მერანი სწრაფი.

ცვარნი ციურნი, ნორჩ ბალახებზედ,
დილის მზეზედა ციმციმ-ბრწყინავენ,
მაღალნი ხენი, ცად ატყორცნილნი,
თვისსა მწვერვალებს ოღნავ არხევენ.

*

* * *

იქ მთის გადაღმა... დაბურულს მხარეს:
ჩემი მშობელი ავ სულს, ტყვედა ჰყავს—
და სისხლის მსმელი სუსტსა, უღონოს,
მძიმე ბორკილში სულს ჰხუთავს, სტანჯავს,

შეფოთლილს ტყეში, მოსული ეშხში,
ქახჭახებს შაშვი განარებული;
ბაღში კრძალვითა ცვარ-ნამს შესცინის,
გულ-მკერდ-გაშლილი, ტურფა სუმბული.

*

* * *

მსურს: იქ ვიბრძოლო, დავლენო ხუნდი!
და გამოვიხსნა აწ ტყვე მშობელი;
თვალზედ შეუშრო ცრემლი უმანკო
და მის უბეში გავითბო ხელი...

ნაზი მერცხალი, ეშხით აღვსილი,
ცის კამარაში სცურავს, ქიკტიკებს;
სიო ფრთა ლალი მწვანე ბუჩქს არხევს,
კორდის ძირს წყარო მოჰქუხს, ჩუხჩუხებს.

*

* * *

რომ გაზაფხულზედ კვლავ ჩემსა მტილში:
ვარდი ნარნარად გარდაიშალოს;
და ბოროტება ჩემმა სიმღერამ,
სამარადისოდ სძლიოს დაჩრდილოს!..

ხარობს ბუნება გალაღებული,
ყველა შეჭხარის მზიანსა დღესა;
მხოლოდ ზოგჯერ-კი მიდამოს აკრთობს,
მწუხარე მგოსნის ქვითინი, კვნესა!

ა. ვაფრინდაშვილი.

* * *

— მაშ თუ ასეა რა დაამშვიდებს
სულსა მგზნებარეს ტანჯვაში ნაწრთობს?—
თუნდ რისხვით აღსდგეს თვით ცა, და მიწა
მე ვერ შემაკრთობს... მე ვერ შემაკრთობს!..

.ს ფაშალიშვილი.

